საქმე №3/192-20-21

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა

საქართველოს სახელით
საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

01.12.2021 წელი **ქ. ქუთაისი**

ქუთაისის საქალაქო სასამართლო
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე - მალხაზ ჩუბინიძე
სხდომის მდივანი - ალექსანდრე ხაჭაპურიძე

მოსარჩელე - მაგული სანდუხაძე (პ/ნ 60001008888)
წარმომადგენელი - მაგული ბრეგვაძე; ფრიდონ ბასილაია;
მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
მოპასუხე - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისი.
წარმომადგენელი - გოგიტა ხურციძე;
მესამე პირი - შპს ,,გუდლაინი"
წარმომადგენელი- ალექსანდრე თათელიშვილი.
მესამე პირი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.
წარმომადგენელი - გიორგი ბენიძე;
მესამე პირი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
წარმომადგენელი - დიმიტრი ახალაძე.

დავის საგანი - ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა. ქმედების განხორციელების დავალება.

სასამართლო სხდომაზე განიხილა საქმის წარმოების შეწყვეტის საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. 2020 წლის 30 აპრილს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მომართა - მაგული სანდუხაძემ.
მოსარჩელემ რამდენჯერმე დააზუსტა სარჩელი და 2021 წლის 08 აპრილის სასარჩელო

მოთხოვნა ჩამოყალიბდა შემდეგი სახით -

- ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 მარტის N98245 გადაწყვეტილება.

-ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისის 2020 წლის 04 მარტის N882030162384-03 გადაწყვეტილება.

-ბათილად იქნეს ცნობილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანება.

-ბათილად იქნეს ცნობილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანება.

- ბათილად იქნეს ცნობილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 03 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება შპს „გუდლაინი"-ს მიერ უძრავი ქონების (ს/კ 03.04.26.058) ნასყიდობის შესახებ მდებარე ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63.

დავის არსი - მოსარჩელის განმარტებით 1994 წლიდან ფაქტობრივი ფლობით თვითნებურად ჰქონდა დაკავებული მიწის ნაკვეთი 38 კვ. მ. ფართი, მდებარე ქ. ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N59 ა. აღნიშნულ ფართს წლების მანძილზე ფლობდა, როგორც საკუთარს.

აღნიშნული ფართი, მისი აწ. გარდაცვლილი მეუღლის - ჯემალ პერტაიას შეძენილ 1250 კვ. მ. მიწის ფართის მიმდებარედ მდებარეობს, სადაც მას და მის მეუღლეს განთავსებული გვქონდა ე. წ. რესტორანი შპს „ლოკადა". მიწის ნაკვეთს უვლიდა, როგორც საკუთარს და მასზე გააშენა ვაზი. ზრუნავდა მათზე, რომელთა წლოვანებაც მოიცავს 17 წელიწადს. მოჰყავდა საკმაოდ ბევრი ყურძენი. აღნიშნული ზემოდ ხსენებული ფართის მეზობლად მდებარეობს შპს „გუდლაინი" (საიდენტიფიკაციო ნომერი 412676689).

2020 წლის 27 თებერვალს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონულ ოფისში წარადგინა განცხადება N882020162384 ქ. ქუთაისში ი. ჭავჭავაძის გამზირის N59 ა-ში მდ. 38.კვ.მ. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. 2020 წლის 4 მარტს იმერეთის რეგიონულმა ოფისმა მიიღო სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ N882020162384 - 03 გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელეს ეცნობა, რომ სარეგისტრაციო უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებსა და 03.04.26.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ზედდება. შესაბამისად მოითხოვეს კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი /აზომვითი/ ნახაზის წარდგენა.

საჯარო რეესტრის მონაცემების თანახმად, ქ. ქუთაისში, ი. ჭავჭავაძის გამზირის N63-ში მდ. უძრავ ნივთზე (საკადასტრო კოდი: 03.04.26.058) რეგისტრირებულია შპს „გუდლაინის" (საიდენტიფიკაციო ნომერი 412676689) საკუთრების უფლება. რეგისტრაციის საფუძვლად მითითებულია ნასყიდობის ხელშეკრულება (გაფორმების თარიღი 03. 05. 2015 წელი, დამოწმებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ) და ქ. ქუთაისის საკრებულოს თავჯდომარის N-461 (19.04.2013 წ.) და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ N390 (29.06.2015 წ) ბრძანება.

საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უარი უთხრა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ N882020162384 (04.03.2020 წელი) გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში.

2. მოპასუხის შესაგებელი:

2.1. სასამართლო სხდომაზე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისის წარმომადგენელმა გოგიტა ხურციძემ მოითხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა მოსარჩელის იურიდიული ინტერესის არარსებობის გამო და განმარტა.

2020 წლის 04.03 N882020162384-03 სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (N882020162384; 27 თებ 2020; განმცხადებელი: მაგული სანდუხაძე, მისამართი: ქუთაისი თბილისის ქ. N 61 ბ. 9). განცხადებით მოთხოვნილია მინის ნაკვეთზე უფლებათა სპორადული რეგისტრაცია, მდებარე ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N59ა მიმდებარედ სამხრეთ_აღმოსავლეთით (ზონა: ქუთაისი, სექტორი:)
განცხადებაზე თანდართულია: 1. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი 2. დოკუმენტაცია იხილეთ N 882019941614 რეგისტრაციაზე.
1. ფაქტობრივი გარემოებები:
1.1. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.
1.2. N882020162384 სარეგისტრაციო განცხადებაზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და 03.04.26.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება.
დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარმოსადგენია კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.

2020 წლის 26 მარტის N98245 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მაგული სანდუხაძეს (პირადი ნომერი: 60001008888) წარმომადგენელს მაგულიბრეგვაძეს (პირადი ნომერი: 60001020746) №94328/17 (თარიღი: 09.03.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020162384-03 (04.03.2020 წ.) გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში რადგან ვერ წარმოადგინა კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.
ვინაიდან მას არ აქვს მოთხოვნილ უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი საბუთი, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების გაუქმების მიმართ მას არ აქვს იურიდიული ინტერესი და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

3. მესამე პირის პოზიცია:

მესამე პირი - შპს „გუდლაინი"-ს წარმომადგენელმა ალექსანდრე თათელიშვილმა მხარი დაუჭირა საქმის წარმოების შეწყვეტას და განმარტა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

მერიის და ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული აქტების მოთხოვნის ბათილად ცნობით მოსარჩელე ვერ მიიღებს ვერანაირ შედეგს, რადგან ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, შპს ,,გუდლაინი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა, საბოლოო მდგომარეობაში ამსახველი ნახაზის მიხედვით, ხოლო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანებით, ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ აღმოსავლეთით", მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N03.04.26.058 - მიენიჭა მისამართი ,,ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63" და აღნიშნული აქტებით რა ზიანი ადგება მოსარჩელეს დაუდგენელია.

მესამე პირი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის **წარმომადგენელმა** გიორგი ბენიძემ მხარი დაუჭირა საქმის წარმოების შეწყვეტას და განმარტა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანებით, ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ აღმოსავლეთით", მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N03.04.26.058 - მიენიჭა მისამართი ,,ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63" და აღნიშნული აქტებით რა ზიანი ადგება მოსარჩელეს დაუდგენელია.
მისივე განმარტებით - მოსარჩელემ ორჯერ მიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიას საკუთრების მოწმობის გაცემის შესახებ და ითხოვდა ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N59-ის მიმდებარედ 40 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას და ეთქვა უარი. 2016 წლის 03 ივნისის N6 გადაწყვეტილება და 2017 წლის 06 ივლისის N152 გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა სასამართლოში.

მესამე პირი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენელმა - დიმიტრი ახალაძემ მხარი დაუჭირა საქმის წარმოების შეწყვეტას და განმარტა, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, შპს ,,გუდლაინი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა, საბოლოო მდგომარეობაში ამსახველი ნახაზის მიხედვით და აღნიშნული აქტებით რა ზიანი ადგება მოსარჩელეს დაუდგენელია.

მაგული სანდუხაძის (პ/ნ 60001008888) წარმომადგენელმა ფრიდონ ბასილაიამ მხარი არ დაუჭირა საქმის წარმოების შეწყვეტას და განმარტა, რომ მაგული სანდუხაძე (პ/ნ 60001008888) წლების განმავლობაში ფლობდა სადავო ფართს როგორც საკუთარს და მისი იურიდიული ინტერესია აღნიშნული ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება.

სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში აღდგება პირვანდელი მდგომარეობა და მოსარჩელეს საშუალება მიეცემა მიმართოს ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიას საკუთრების მოწმობის გაცემის შესახებ.

3. ფაქტობრივი გარემოებები;

3.1. საქმის მასალებით - 2020 წლის 04.03 N882020162384-03 სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებით ირკვევა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (N882020162384; 27 თებ 2020; განმცხადებელი: მაგული სანდუხაძე, მისამართი: ქუთაისი თბილისის ქ. N 61 ბ. 9). განცხადებით მოთხოვნილია მინის ნაკვეთზე უფლებათა სპორადული რეგისტრაცია, მდებარე ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N59ა მიმდებარედ სამხრეთ_აღმოსავლეთით (ზონა: ქუთაისი, სექტორი:)
განცხადებაზე თანდართულია:

1. წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი 2. დოკუმენტაცია იხილეთ N 882019941614 რეგისტრაციაზე.

1. ფაქტობრივი გარემოებები:
1.1. დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილია სარეგისტრაციო დოკუმენტაცია.
1.2. N882020162384 სარეგისტრაციო განცხადებაზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და 03.04.26.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება.
დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარმოსადგენია კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.
მტკიცებულება: 2020 წლის 04.03 N882020162384-03 სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილება (ტ.1.ს/ფ. 20).

3.2. საქმის მასალებით - 2020 წლის 26 მარტის N98245 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მაგული სანდუხაძეს (პირადი ნომერი: 60001008888) წარმომადგენელს მაგულიბრეგვაძეს (პირადი ნომერი: 60001020746) №94328/17 (თარიღი: 09.03.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020162384-03 (04.03.2020 წ.) გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში რადგან ვერ წარმოადგინა კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.
მტკიცებულება: 2020 წლის 26 მარტის N98245 გადაწყვეტილება (ტ.1.ს/ფ.14-17).

3.3. საქმეში წარმოდგენილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, შპს „გუდლაინი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა, საბოლოო მდგომარეობაში ამსახველი ნახაზის მიხედვით
მტკიცებულება: ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანება (ტ.1.ს/ფ.59).

3.4. საქმეში წარმოდგენილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანებით, ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ აღმოსავლეთით", მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N03.04.26.058 - მიენიჭა მისამართი ,,ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63".
მტკიცებულება: ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანება (ტ.1.ს/ფ.60).

4. სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოტივაციო ნაწილი:

5. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

მოსარჩელე **ითხოვს:** ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2020 წლის 26 მარტის N98245 გადაწყვეტილება.
-ბათილად იქნეს ცნობილი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისის 2020 წლის 04 მარტის N882030162384-03 გადაწყვეტილება.
-ბათილად იქნეს ცნობილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანება.
-ბათილად იქნეს ცნობილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანება.
- ბათილად იქნეს ცნობილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 03 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულება შპს ,,გუდლაინი"-ს მიერ უძრავი ქონების (ს/კ 03.04.26.058) ნასყიდობის შესახებ მდებარე ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63.

5.1. სასამართლო წინამდებარე სარჩელის შეწყვეტისას ასევე მიუთითებს მოსარჩელის იურიდიული ინტერესის მიღწევის შესაძლებლობაზე, რაც ადმინისტრაციული სარჩელის დასაშვებობის პირობაა და განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ,,ა"

პუნქტით - ადმინისტრაციული ორგანო – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;

გ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი;

დ) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი –ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები;

მითითებული საპროცესო ნორმის საფუძველზე აღძრული სარჩელი დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი პირობა, როდესაც ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას; პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ ინტერესს; უკანონოდ ზღუდავს მოსარჩელის უფლებას.

კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრული სარჩელის დასაშვებობისათვის აუცილებელია, გასაჩივრებული აქტით ზიანი ადგებოდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ინტერესს ან უკანონოდ იზღუდებოდეს მისი რომელიმე უფლება. მხოლოდ აღნიშნული პირობების არსებობის შემთხვევაში შეუძლია მოსარჩელეს მოითხოვოს საქმის განხილვა ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე შეზღუდული ან სადავოდ ქცეული უფლების ან კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით.

5.2. განსახილველ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია სასკ-ის 22-ე მუხლის საფუძველზე, რა დროსაც სარჩელის დასაშვებობის წინაპირობაა პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანისა და მოსარჩელის კანონიერი უფლების ან ინტერესის არსებობის დადასტურება.

სასამართლო იზიარებს მოპასუხე და მესამე პირთა მოსაზრებას წინამდებარე სარჩელით მოსარჩელის იურიდიული ინტერსის არარსებობის თაობაზე.

საქართველოს საკასაციო სასამართლომ მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დადგენასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ - ,,მოსარჩელის პატივსადები იურიდიული ინტერესის არსებობის დადგენისათვის არ კმარა ინტერესის შესახებ მოსარჩელის განცხადება,

მოსარჩელე უნდა ასაბუთებდეს თავის ინტერესს, რომელიც უნდა იყოს კანონიერი და პატივსადები. ინტერესის არსებობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფასდება, თუმცა იგი ობიექტურ მონაცემებზე უნდა იყოს დამყარებული. ასეთ მონაცემებს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სარჩელის აღძვრის საბაბის ფაქტები: უფლების დარღვევა, დარღვევის საშიშროება, ინტერესების შელახვა.

სარჩელის შეტანის და წარდგენილი სარჩელის საფუძველზე აქტის ბათილად ცნობის და აქტის გამოცემის მოთხოვნის უფლება წარმოეშობა მხოლოდ იმ პირს, რომლის სუბიექტურ უფლებასა და ინტერესს აქტი, ან/და მისი გამოუცემლობა აყენებს უშუალო და ინდივიდუალურ ზიანს. ხელყოფა უნდა შეეხებოდეს მოსარჩელის იმ უფლებას, რომელიც დაცულია მატერიალური კანონმდებლობით და აქტის ბათილად ცნობის ან აქტის გამოცემის შემთხვევაში იძლევა პირის უფლებებში აღდგენის ან მისი რაიმე ტიპის უფლებით აღჭურვის შესაძლებლობას. გამოირიცხება მორალური და თეორიული ინტერესის გამო სარჩელის დაშვების შესაძლებლობა. იურიდიული (პროცესუალური) ინტერესის დაკმაყოფილება არ არის თვითმიზანი, იგი მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება, იურიდიული ინტერესი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს, უკეთუ სახეზეა მატერიალურ-სამართლებრივი ინტერესი (სასამართლო დაცვის საგანი), უკანასკნელის გარეშე პროცესუალურ უფლებას არ ექნებოდა რაიმე ღირებულება. პროცესუალური უფლების არსი მატერიალური უფლების გამოვლენაში მდგომარეობს. ამასთანავე, კანონიერი ინტერესი არ ნიშნავს იმთავითვე მოთხოვნის კანონიერებას, სასამართლოს მიერ სარჩელის უცილობლად დაკმაყოფილებას. მოსარჩელეს უნდა გააჩნდეს დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის მიმართ მნიშვნელოვანი იურიდიული ინტერესი. კანონიერ ინტერესში იგულისხმება, რომ დავა უნდა იყოს სამართლებრივი, დავაში ინტერესი უნდა იყოს კონკრეტული, ლეგიტიმური, პატივსადები, მნიშვნელოვანი. კანონიერი ინტერესის არსებობა გულისხმობს იმას, რომ პირი სასამართლოსადმი მიმართვის უფლებას კეთილსინდისიერად იყენებს, დაუშვებელია ამ უფლების გამოყენება მარტოოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას".

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, **სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში,** ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

5.3. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ 2020 წლის 04.03 N882020162384-03 სარეგისტრაციო

წარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს წარედგინა განცხადება (N882020162384; 27 თებ 2020; განმცხადებელი: მაგული სანდუხაძე, მისამართი: ქუთაისი თბილისის ქ. N 61 ბ. 9). განცხადებით მოთხოვნილია მინის ნაკვეთზე უფლებათა სპორადული რეგისტრაცია, მდებარე ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N59ა მიმდებარედ სამხრეთ_აღმოსავლეთით (ზონა: ქუთაისი, სექტორი:)

N882020162384 სარეგისტრაციო განცხადებაზე სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი და 03.04.26.058 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ინსტრუქციით განსაზღვრული ზედდება.
დაინტერესებულ პირს განემარტა, რომ 30 კალენდარული დღის ვადაში წარმოსადგენია კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.

უდავოა, რომ 2020 წლის 26 მარტის N98245 გადაწყვეტილებით უარი ეთქვა მაგული სანდუხაძეს (პირადი ნომერი: 60001008888) წარმომადგენელს მაგული ბრეგვაძეს (პირადი ნომერი: 60001020746) №94328/17 (თარიღი: 09.03.2020 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ № 882020162384-03 (04.03.2020 წ.) გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში რადგან ვერ წარმოადგინა კორექტირებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზი.

ამდენად, ვინაიდან მოსარჩელეს არ გააჩნია მოთხოვნილ უძრავ ნივთზე უფლების დამადასტურებელი საბუთი, სასამართლოს მიაჩნია, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების გაუქმების მიმართ მოსარჩელეს არ აქვს იურიდიული ინტერესი და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს, რადგან სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი მოსარჩელე ვერ მიიღებს იმ შედეგს რაც სურს, რადგან ასევე უდავო ფაქტია, რომ მოსარჩელემ ორჯერ მიმართა ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში /სარგებლობაში/ არსებული მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედ კომისიას საკუთრების მოწმობის გაცემის შესახებ და ითხოვდა ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N59-ის მიმდებარედ 40 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას და ეთქვა უარი. 2016 წლის 03 ივნისის N6 გადაწყვეტილება და 2017 წლის 06 ივლისის N152 გადაწყვეტილება სასამართლოში არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

5.4. ასევე უდავოა, რომ საქმეში წარმოდგენილი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 19 აპრილის N461 ბრძანებით ექსპლუატაციაში იქნა მიღებული ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე, შპს ,,გუდლაინი"-ს კუთვნილი მიწის ნაკვეთში მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა, საბოლოო მდგომარეობაში ამსახველი ნახაზის მიხედვით, ხოლო ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 29 ივნისის N390 ბრძანებით, ქ. ქუთაისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი, გზაგამტარი ხიდის სამხრეთ აღმოსავლეთით", მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N03.04.26.058 - მიენიჭა მისამართი ,,ქალაქი ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63".

დაუსაბუთებელია აღნიშნული აქტებით რა ზიანი ადგება მოსარჩელეს და რას მიიღებს მათი ბათილად ცნობით. შესაბამისად, სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ ნაწილშიც სარჩელი დაუშვებელია და უნდა შეწყდეს საქმის წარმოება.

5.5. სასამართლოს მიაჩნია, რომ ვინაიდან სარჩელი დაუშვებელია ინდ. ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის ნაწილში, ასევე დაუშვებელია სარჩელის ის ნაწილი სადაც მოთხოვნილია ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 03 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების შპს ,,გუდლაინი"-ს მიერ უძრავი ქონების (ს/კ 03.04.26.058) ნასყიდობის შესახებ მდებარე ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N63 ბათილად ცნობის ნაწილში, რადგან არ დასტურდება აღნიშნული ხელშეკრულების ბათილობის პატივსადები, ღირსი ინტერესის არსებობა.

5.6. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 262მუხლის მე-2 ნაწილით - სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

6. საპროცესო ხარჯები:

6.1. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სასამართლო ხარჯებს მოიცავს სახელმწიფო ბაჟი.

სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონის მე-6.3 მუხლის თანახმად, გადახდილი სახელმწიფო ბაჟი ექვემდებარება მთლიანად ან ნაწილობრივ დაბრუნებას საქმის წარმოების შეწყვეტისას ან სარჩელის განუხილველად დატოვებისას, თუ საქმე სასამართლოში განხილვას არ ექვემდებარება, აგრეთვე როდესაც მოსარჩელე არ იცავს მოცემული კატეგორიის საქმეებისათვის წინასწარი დავის გადაწყვეტის დადგენილ წესს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილით - საქმის შეწყვეტის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა განახევრდება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან უნდა დაუბრუნდეს სარჩელის აღძვრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ნახევარი 50 ლარი, რომელიც ამოირიცხოს ანგარიშიდან 300183150; გადამხდელი მაგული ბრეგვაძე (პ/ნ 60001020746) საგადასახდო დავალება #9820942768; სს ,,საქართველოს ბანკი". თარიღი 10.09.2020 წელი.

მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარი, დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

7. უზრუნველყოფის ღონისძიება:

7.1. უზრუნველყოფის ღონისძიება არ გამოყენებულა:

სარეზოლუციო ნაწილი:

სასამართლომ იხელმძღვანელა სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, (მე-3), მე-12, მე-13 და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე, 284-285-ე, 414-ე, 416-ე მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. შეწყდეს საქმის წარმოება ადმინისტრაციულ საქმეზე 3/192-20 მაგული სანდუხაძის (პ/ნ 60001008888) სარჩელისა გამო მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს; საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისის, მესამე პირი - შპს ,,გუდლაინი"; მესამე პირი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია; მესამე პირი - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის და ქმედების განხორციელების დავალების თაობაზე.

2. მოსარჩელე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუბრუნდეს სარჩელის აღძვრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 ლარის ნახევარი 50 ლარი, რომელიც ამოირიცხოს ანგარიშიდან 300183150; გადამხდელი მაგული ბრეგვაძე (პ/ნ 60001020746) საგადასახდო დავალება #9820942768; სს ,,საქართველოს ბანკი". თარიღი 10.09.2020 წელი.

3. მოსარჩელის მიერ სარჩელის აღძვრისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 50 ლარის დარჩეს სახ. ბიუჯეტში.

4. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კერძო საჩივრით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მისამართი: ქ. ქუთაისი. ნიუპორტის №32) ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მისამართი: ქუთაისი კუპრაძის ქ. №11) მეშვეობით 12 დღის ვადაში დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემის დღიდან.

მოსამართლე **მალხაზ ჩუბინიძე**

hozorsh

12. 06. 2021

[illegible]

[illegible]115 91 57